ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N1

2023 წლის 23 თებერვალი
ქ. ონი

„ონის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის N5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. „ონის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის N5 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული დანართი ,,დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზაჩანა მარკოიშვილი

დანართი
შეთანხმებულია
ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2023 წლის 23 თებერვლის N1 განკარგულებით

დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები

N	დასახელება	რაოდენობა
1.	მერის თანაშემწე	2
2.	მერის მრჩეველი	1
3.	ტექნიკური მუშაკი	2
4.	სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში	1
5.	ფოტოგრაფი	1
6.	დარაჯი	2